

შპს ველაჯიო

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა	3
ფინანსური მდგომარეობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	4
საქმიანობის შედეგების (ინდივიდუალური) ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძელი	7
3. ფუნქციონალური ვალუტა	7
4. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
5. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
6. არამატერიალური აქტივები	8
7. ფული და ფულის ექვივალენტი	8
8. კაპიტალი	8
9. გაუნაწილებელი მოგება	8
10. გრძელვადიანი ვალდებულებები	8
11. მიმდინარე ვალდებულებები	8
12. შრომის ანაზღაურება	8
13. ცვტა და ამორტიზაცია	9
14. სხვა აღმინისტაციული ხარჯი	9
15. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები	9
16. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	9
17. ანგარიშგების დამტკიცება	9

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ველაჯიო“-ის („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული ტრანზაქციის, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის ტრანზაქციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 20 სექტემბერს

შპს ველაჯიო

გენერალური დირექტორი

მანანა ჯაფარიძე



ვ ა ჯ ი დ ე

ფინანსური მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბერი
შპს ველაჯიო

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31-12-2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31-12-2023	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31-12-2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5192	24564	381,755
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	163360	33878	56,046
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	46100609	58720448	54,699,079
მარაგები	653193	653,193	662,096
- მზა პროდუქცია			
- სხვა	653193	653193	662,096
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	19606536	19171048	19,061,108
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი	591890	696341	819,225
სხვა არამატერიალური აქტივები	2039	2399	2,822
ძირითადი საშუალებები	23936788	24280972	24,720,067
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	22791682	9526067	9,690,087
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4155	12230	
სულ აქტივები	113855444	113,121,140	110,092,285
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		79326	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	28035285	17368404	9,444,799
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5426790	19113718	25,139,380
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	4618174	2629166	1,480,772
სულ ვალდებულებები	38080250	39,190,614	36,064,951
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი')	12302872	12302872	12,302,872
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	63472323	61627654	61,724,462
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	75775195	73,930,526	74,027,334

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	113855444.3	113,121,140	110,092,285
სულ მოკლევადიანი აქტივები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1	1	1
	1	1	1

საქმიანობის შედეგი 2024 წლის 31 დეკემბერი შპს ველაჯიო

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31-12-2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31-12-2023
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	511,553	516,633
მომსახურების გაწევიდან		3008
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	511525	511525
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	28	2100
საერთო მოგება		-8903
სხვა საოპერაციო შემოსავალი	511,553	507,730
დასაქმებულთა ანაზღაურება		
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-407376	-321875
საპროცენტო შემოსავალი	-879913	-921520
საპროცენტო ხარჯი	4574721	5036088
იჯარის ხარჯი	-3407849	-3809185
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6450	-4967
სულ საოპერაციო ხარჯები	-481117	-427189
საოპერაციო მოგება	(607,984)	(448,648)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	(96,431)	59,082
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადა	1923023	-130646
მიღებული დივიდენდები	18500	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-433	-17901.02
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1,844,660	(89,465)
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1,844,660	(89,465)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
რთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადაას		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1,844,660	(89,465)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	73930527	74027334
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპ		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	8	-7342

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	75,775,195	73,930,527
--	------------	------------

ფულადი სახსერის მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერი
შპს ველაჯიო

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31-12-2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31-12-2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი		
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	-19372	-357191
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		(357,191)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	24564	381755
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5192	24,564

შპს ველაჯიოს
დირექტორი



მ. ჯაფარიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ველაჯიოს“ საქმიანობის სფერო ძირითადად უკავშირდება უძრავი ქონების გაქირავებასა და საცალო ვაჭრობას.

შპს „ველაჯიოს“ 100% წილის მფლობელია შპს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედი“, რომლის

აქციონერებიც არიან სამსონ ფხაკაძე (50%) და ლევან ფხაკაძე (50%).

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე.

2017 წლის ბოლოდან კომპანიის საოპერაციო საქმიანობის სფეროები მნიშვნელოვნად შემცირდა და ამ ეტაპისათვის ძირითადად შემოიფარგლება უძრავი ქონების გაქირავებით და საცალო ვაჭრობით.

2019 წლის 8 იანვარს შპს „ველაჯიომ“ გაყიდა სს „ლაგუნას“ 100%-იანი წილი დაკავშირებულ მხარეზე.

2020 წლის 24 იანვარს შპს „ველაჯიომ“ შეირჩა შპს „ბორჯომის სავაჭრო ცენტრი 2005“

2. მომზადების საფუძელი

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს მოქმედებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჭვრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას.

3. ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიას სესხები გაცემული აქვს გაცემის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული საბაზრო განაკვეთებთან ადექვატურ პროცენტში შესაბამისად პროცენტის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნიშნულის მიხედვით.

სესხებზე არ არის გათვალისწინებული გაცემის ან რაიმე ტიპის საკომისიო და შესაბამისად ეფექტური განაკვეთი ტოლია ხელშეკრულებაში დაფიქსირებული პროცენტისა.

ფინანსური ანგარიშგების იმ მუხლების შესაბამისი ოდენობა რომელიც წინამდებარე ანგარიშგებაში მითითებული არ არის ნულის ტოლია.

კომპანიის ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების მიზნებისათვის კი გამოყენებულია საკასო მეთოდი.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ანგარიშება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე.

6. არამატერიალური აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები.

7. ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიის ფულის სრული ბრუნვა ხდება როგორც თიბისის ისე საქართველოს ბანკის ანგარიშებზე.

8. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალის მოცულობა შეადგენს 12 302 872 ლარს.

9. გაუნაწილებელი მოგება

2024 წლის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება შეადგენს **63 472 323 ლარს**.

10. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებების მოცულობა შეადგენს **5 426 790 ლარს**. აღნიშნული ვალდებულების უმეტესი წილი მოდის სს ბაზის ბანკზე, რომლისგანაც სესხი აქვს კომპანიას აღებული.

11. მიმდინარე ვალდებულებები

- კომპანიას მოკლევადიან ვალდებულებებში აღნიშნება - **28 035 285 ლარი**.
- საგადასახადო ვალდებულება კომპანიას არ გააჩნია

12. შრომის ანაზღაურება

სახელფასო ხარჯმა 2024 წელს შეადგინა 407 376 ლარი.

13. ცვეთა და ამორტიზაცია

წლის განმავლობაში აქტივების ცვეთამ შეადგინა 879 913 ლარი.

14. სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

2024 წელს სხვა ადმინისტრაციული ხარჯებმა შეადგინა 481 117 ლარი. აქედან ყველზე დიდ ხარჯს წარმოადგენს ელექტროენერგია - 99 171 ლარი, ხოლო მიმდინარე რემონტები იჯარით გაცემულ ფართებზე შეადგენს - 147 008 ლარს.

15. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები

კომპანიის ტრანზაქციები დაკავშირებულია როგორც დაკავშირებულ მხარესთან, ისე არადაკავშირებულ მხარეებთან (მოიჯარეები და მომწოდებლები).

16. ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანია ჩვეულ რეჟიმში ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას.

17. ანგარიშების დამტკიცება

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 20 სექტემბერს.